ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1553286

ნომერი: AR1258304

თარიღი : 16.10.2014

გაცემის თარიღი : 23.10.2014

გაცნობის თარიღი : 28.10.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიდი დიღომიდან გლდანში მიმავალ მაგისტრალსა და საავადმყოფოების კომპლექსს შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მერაბი ჩაგიაშვილი პ/ნ 60002003088
- ქუთაისი თბილისის ქ. N 13

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტორულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ რადგან მიწის ნაკვეთზე ვრცელდება ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს უსაფრთხოების მიზნით დაწესებული შეზღუდვა, ნაკვეთზე შენობა–ნაგებობების განთავსება უნდა მოხდეს აღნიშნულის მოთხოვნების დაცვით და საჭიროა საპროექტო ობიექტის განთავსების საკითხი შეათანხმოთ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს უსაფრთოების სამსახურთან.

ამასთანავე ვინაიდან მიწის ნაკვეთის მესაკუთრე საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად არის შპს "ზ.მ", რომლის მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირები არიან მოქ. მამუკა ყრუაშვილი და მოქ. გიორგი შანიძე, ხოლო განცხადებით მოგვმართავთ მოქ. მერაბ ჩაგიაშვილი საჭიროა წარმოადგინოთ მოქ. მამუკა ყრუაშვილის ან მოქ. გიორგი შანიძის თანხმობა ჩასატარებელ სამუშოებთან დაკავშირებით ან ერთ–ერთი მათგანი დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge